GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 101
თარიღი: 28 04 2015 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს რეფორმების ასოციაციის
ვიცე-დირექტორს, პაატა გაფრინდაშვილს
მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N27
ტელეფონი: 2309025
598 809 512

ბატონო პაატა,

თქვენი 2015 წლის 7 აპრილის N141 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ განცხადების პირველი პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის დაცული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რის გამოც, ამ ნაწილში თქვენ მიერ წარმოდგენილი კორესპონდენცია გადაგზავნილი იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ასევე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში არ არის დაცული განცხადების მესამე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, რის გამოც, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას ამ ნაწილში დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა. რაც შეეხება თქვენი კორესპონდენციის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, გეგზავნებათ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2014 წლის 6 ნოემბრის N2/187 და 2015 წლის 13 თებერვლის N1460 წერილების ასლები.

დანართი: „ " ფურცლად.

პატივისცემით,

შალვა თადუმაძე

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

N27833
24.04.2015

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი

KA00001762807671 5

№1460

13 / თებერვალი / 2015 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს,
ქალბატონ მაია ცქიტიშვილს

ქალბატონო მაია,

2014 წლის 6 ნოემბერს მოგმართეთ წერილით (N2/187), რათა, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტით საქართველოს პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, უზრუნველგეყოთ საქართველოს მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (NATO) არსებითი პაკეტის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ საკითხის გათვალისწინება. დღემდე ხსენებულ საკითხს რეაგირება არ მოჰყოლია.

განმეორებით მოგმართავთ, ჩვენ მიერ დასმული ზემოხსენებული საკითხი გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში, რომლის განხილვას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი.

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი

დავით პატარაია

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№13816
13.02.2015
1 ფურცელი

საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის უფროსი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს

მაია ცქიტიშვილს

ქალბატონო მაია,

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტით საქართველოს პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მოგმართავთ, რათა უზრუნველყოთ საქართველოს მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ჩრდილოატ-ლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (NATO) არსებითი პაკეტის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ საკითხის გათვალისწინება.

აღნიშნული საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი.

დავით პატარაია
№2/187
06.11.2014

N 37596
06.11.2014